

რა მოხდება თუ პარლამენტმა ბიუჯეტის კანონის მიღება ჩააგდო? #სქემა N2

მთავრობის მიერ პარლამენტისთვის ბიუჯეტის კანოპროექტის წარდგენა

მთავრობა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არა უგვიანეს სამი თვისა



პარლამენტი

პარლამენტმა ახლი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება, რაც უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრად ითვლება



პარლამენტი

უნდობლობის საკითხის აღძვრიდან არანაკლებ 20 და არაუმეტეს 25 დღეში პარლამენტის კენჭს უყრის პრეზიდენტისთვის წარსადგენ პრემიერობის კანდიდატს სიითი შემადგენლობის 2/5 -ით



პრეზიდენტი

პრეზიდენტმა 5 დღის ვადაში არ წამოაყენა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი (ისარგებლა ვეტოს უფლებით)



პარლამენტი

პარლამენტმა, პრემიერობის კანდიდატურის წარდგენიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა კენჭი უყარა პრეზიდენტისათვის პრემიერ-მინისტრის იმავე კანდიდატურის წარდგენას და სიითი შემადგენლობის 3/5 დამლია პრეზიდენტის ვეტო

პრეზიდენტი

პრეზიდენტმა შეასრულა კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულება და ვეტოს დაძლევიდან 3 დღეში წამოაყენა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი



პრემიერობის კანდიდატის მიერ მთავრობის შექმნა

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა 7 დღის ვადაში შეარჩია მინისტრთა კანდიდატურები და საქართველოს პარლამენტს წარუდგენა მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა ნდობის მისაღებად



პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის შექმნა

პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და კენჭი უყარა და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას



პრემიერ-მინისტრის/მთავრობის წევრების დანიშვნა

მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ასევე 2 დღის ვადაში – მთავრობის სხვა წევრებს. თუ პრეზიდენტი არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება